



# სკოლის გაზეთი

## „ევროპული სკოლის“ დირექტორის წერილი

ძვირფასო „ევროპული სკოლის“ საზოგადოებავ,  
 გულწრფელად გიხდით მადლობას იმ უზარმაზარი წვლილისთვის, რომელიც 2020- 2021 სასწავლო წელს შეიტანეთ „ევროპული სკოლის“ ცხოვრებაში. ეს არ იყო ჩვეულებრივი წელი, თქვენ სასწავლო პროცესში ყველა მიმართულებით მოგიწიათ მიუწვდომელი სიმაღლეების დაპყრობა, შეუძლებელის დაძლევა. ჩვენ გქონდა დისტანციური სწავლებაც, მოგვიანებით იგი ჩავანაცვლეთ პირისპირ და ჰიბრიდული სწავლების ფორმებით. მივიწვევდით წინ და იზრდებოდა ჩვენი მოსწავლეების სიბეჯითე, მოტივაცია და სწრაფვა, მოეხდინათ შესაძლებლობების სრული რეალიზება და სასწავლო წელი დაემთავრებინათ წარმატებულად, ახალი მიღწევებით აკადემიური მიმართულებით, სპორტის, ხელოვნებისა თუ ლიდერული აქტივობების კუთხით.

ძნელია, სიტყვებით გამოვხატო მადლიერება ჩვენი პროფესიონალი პედაგოგების მიმართ, რომლებიც ამ უჩვეულოდ რთულ წელსაც ახერხებდნენ, ყოფილიყვნენ სკოლის უმთავრესი მისიის ერთგულნი და ყველანაირად ეხმარებოდნენ მოსწავლეებს შესაძლებლობის მაქსიმუმის მიღწევაში. ციფრული ტრანსფორმაციის გუნდის მხარდაჭერით მათ ახალი ონლაინ პლატფორმები და ტექნოლოგიები დანერგეს სასწავლო პროცესში, მეტი შემოქმედებითობა და მრავალფეროვნება შეიტანეს სწავლებაში და ახლებურად გაიაზრეს საგაკვეთილო პროცესი. საკლასო სივრცეში დაბრუნებულებს სხვადასხვა თემების, კონცეფციებისა და სტრატეგიების ყოველდღიურ სწავლებასთან ერთად უწევდათ მოსწავლეებში სოციალური დისტანციის მუდმივი კონტროლი უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მიზნით.

მადლიერი ვარ ჩვენი მშობლების, რომლებიც გაგებით ეკიდებოდნენ ცვლილებებს, მოქნილად ერგებოდნენ სიახლეებს, გვეხმარებოდნენ სწავლება ახალი ციფრული ტექნოლოგიებით წარგვემართა და ყოველმხრივ ჩვენს გვერდით იყვნენ, როგორც დადებითი მამოძრავებელი ძალა.

მთელი წლის მანძილზე სკოლის საზოგადოების სხვადასხვა რგოლის წევრების ერთიანი ძალისხმევით სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორგანიზებულად წარიმართა, ზედმეტი რყევების გარეშე, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია ამ რთულ და დინამიურ ვითარებაში.

ზაფხულის არდადეგებზე კოლეგებთან ერთად დავსახავთ ახალ პრიორიტეტებს, რათა კიდევ უფრო მეტ წარმატებას და სამომავლო ამბიციურ მიზნებს მივაღწიოთ.

გისურვებთ საუკეთესო დასვენებას, სექტემბერში კი გელით საინტერესო იდეებით, პოზიტიური ენერგიით დამუხტულებს.

საუკეთესო სურვილებით,

სოფიო ბაზაძე

„ევროპული სკოლის“ დირექტორი



## მოსწავლეთა პარლამენტის ლიდერები

ლიდერობა მოტივირების, ადამიანებზე ზეგავლენის ხელოვნებაა, გუნდის მართვა საერთო მიზნის მისაღწევად. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ლიდერობის გამოცდილება სკოლის ასაკში შეიძინონ, ისწავლონ ურთიერთობების დამყარება, თანამშრომლობა და მიზნის ეფექტიანად მიღწევა.

„ევროპული სკოლის“ პარლამენტი მიზნად ისახავს ისეთი ლიდერების ჩამოყალიბებას, რომლებიც მოწადინებულნი იქნებიან, შეცვალონ საკუთარი და სხვათა ცხოვრება უკეთესობისკენ. იგი ხელს უწყობს მოზარდებში თავდაჯერებულობის, მოტივაციის ზრდას, აძლევს მათ შესაძლებლობას, გახდნენ საკუთარი და სხვათა საჭიროებების დამცველნი, დაამყარონ ეფექტიანი ურთიერთობები, იქონიონ ერთიანი საზოგადოების განცდა და ნდობა სკოლის მიმართ.

წარმოგიდგინთ „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა პარლამენტის ლიდერებს, კრეატიულ, თავდაჯერებულ, გამოწვევებით დამუხტულ მოზარდებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ უნარებს იძენენ პარლამენტში და მუდმივად ახალ-ახალ ინიციატივებს იჩენენ.

### ანამარია იაკობიძე-მოსწავლეთა პარლამენტის თავმჯდომარე რა სიტყვებით დაახასიათებდი გამორჩეულ ლიდერს?

შთამაგონებელი, კეთილსინდისიერი და შეუპოვარი.

### აღწერე შენი ლიდერობის სტილი.

ჩემს სტილს სიტუაციური ლიდერშიფი (Situational leadership) ჰქვია, რაც ნიშნავს, რომ სტილი საჭიროების მიხედვით იცვლება. ვცდილობ, დემოკრატიული ლიდერი ვიყო, თუმცა კრიზისის დროს სწრაფ, ავტოკრატიულ გადაწყვეტილებებს ვიღებ.

### გავგიზიარე, შენს საქმიანობაში რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა და გაკვეთილი?

ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევა იყო, მესწავლა თუ როგორ შემეწყვიტა ხალხის მიკრომენეჯმენტი. ჩვევად მქონდა, რომ დეტალურად გამეკონტროლებინა ყველა ადამიანი ყველა ასპექტში. საბედნიეროდ, პარლამენტის შიგნით შევძელი, შემეკრიბა გუნდი, რომელსაც ვეყრდნობი, შესაბამისად, მათ ჩემი მხრიდან აქეთ მაქსიმალური ხელშეწყობა საკუთარი პოტენციალის გამოვლენაში. უდიდესი გაკვეთილია, რომ მივხვდი (ანა ვინტურს დავესესხე), არაფერი ხარ კარგი გუნდის გარეშე. გარდა ამისა, ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის და პროდუქტიულობისთვის პოზიტიური სამუშაო გარემოა.

### ჯოა სტინბერგი- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კომისიის ხელმძღვანელი გაიხსენე ეპიზოდი, როცა მოახერხე სხვების შთაგონება ან მოტივაციის ამაღლება.

ეს იყო PR კომისიის პირველი შეხვედრა, როცა ჯერ კიდევ არ ვიცნობდით ერთმანეთს, არაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესაძლებლობების შესახებ, მხოლოდ ონლაინ რეჟიმში გვყავდა ნანახი კომისიის ზოგიერთი წევრი. ამდენად, წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ წარიმართებოდა ჩვენი ერთობლივი მუშაობა. შეხვედრა ვალენტინობის დღესასწაულის დაგეგმვას დაეთმო. როგორც მოგვიანებით კომისიის სხვა წევრებმა მითხრეს, ჩემი მხრიდან დიდი დახმარება იყო დროის და დავალებების სწორად გადანაწილება და ვადების შეხსენება. ალბათ, ეს იყო შემთხვევა, როცა სხვების მოტივირება შევძელი.



**როგორ წავახალისოთ შენი ასაკის მოზარდები, რომ დაიკავონ ლიდერის პოზიციები?**

ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული, ლიდერობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ბევრს არ სურს ამ როლის მორგება, ვინაიდან ის დამატებით საქმიანობას საჭიროებს. თუმცა, ყველაფრის შეთავსება შეიძლება, თუ კარგად გავანაწილებთ დროს. ჩემი თანატოლების უდიდესი პრობლემაა საქმის გადადება და სიზარმაცე. ეს ორი ფაქტორი ხელისშემშლელია და საკმაოდ გავრცელებული მოზარდებში. თუ მოსწავლე ამ პრობლემებთან გამკლავებას ისწავლის, მაშინ ბევრი რამ გაცილებით ადვილი იქნება მისთვის.

**ალექსანდრა კონოვალოვა - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კომისიის წევრი რომელია შენი ძლიერი და სუსტი მხარეები?**

ჩემი აზრით, საკმაოდ ბევრი ძლიერი მხარე მაქვს, მაგრამ მთავარი მაინც ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი და გუნდის წევრებთან პატივისცემით აღსაყვამ დამოკიდებულებაა. ეს თვისებები მნიშვნელოვანია ლიდერისთვის. პირადად მე ძალიან მეხმერება მიზნების მიღწევაში. ჩემი სისუსტეა ის, რის გაკონტროლებასაც ვერ ვახერხებ. მაგალითად, ვერ ვჩერდები, როცა სხვები ლაპარაკობენ, მინდა, ისინი მე ვმართო, რაც არამართებულია და არ შეესაბამება გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**როგორ შეგცვალა პარლამენტის წევრობამ?**

საკმაოდ შევიცვალე, გავაუმჯობესე კომუნიკაციის უნარები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ უკეთესია, ვიდრე წარსულში მქონდა. ბევრი ადამიანი გავიცანი და მათთან ერთად საინტერესო პროექტებიც განვახორციელე, რაც ვფიქრობ, დამეხმარება მომავალში. უფრო მეტი მოტივაცია მაქვს, ვაკეთო რაიმე ახალი, ეს ადრე ნაკლებად მახასიათებდა. მინდა, მაღლობა გადავუხადო ყველას, ვინც დამეხმარა მოსწავლეთა პარლამენტში საქმიანობისას.

**მარიამ ხუროძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კომისიის წევრი დაგვიხასიათე საკუთარი პიროვნება ერთი სიტყვით.**

როგორც ზოგიერთი ჩემი მეგობარი მახასიათებს, მე საკმაოდ შეუპოვარი პიროვნება ვარ და ვერ მაჩერებს სიძნელებები მიზნის მიღწევის გზაზე.

**გაიხსენე ეპიზოდი, როცა გუნდს ხელმძღვანელობდი.**

წელს, 29 მარტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის სხვა წევრებთან ერთად, გამოვუშვი მოსწავლეთა პარლამენტის გაზეთი. ყოველთვის მინდოდა გაზეთის შექმნაში მიმელო მონაწილეობა და აი, რედკოლეგიის ხელმძღვანელი ვარ. გაზეთის შექმნის პროცესი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, მე მნიშვნელოვანი ფუნქცია მქონდა, ვინაიდან ვადები უნდა გამეკონტროლებინა და დიზაინი შემექმნა. ჩემმა მომდომებამ შედეგი გამოიღო, უკვე სამი გაზეთი გამოვუშვით. ამ სემესტრში დიდი გამოცდილება შევიძინე, ახალი უნარები განვივითარე, მათ შორის ლიდერობის უნარი.

**მარიამ ჯახუა - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კომისიის წევრი****რა საქმიანობით ხარ დაკავებული პარლამენტში და როგორ გამზადებს ის მომავლისთვის?**

მოსწავლეთა პარლამენტი ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია, რომელიც უამრავ შესაძლებლობას გვთავაზობს. აქტივობები, რომელშიც მე მივიღე მონაწილეობა, მოიცავს ღონისძიებების კოორდინირებას, თამაშების შექმნას, მოსწავლეებში გამოკითხვის ჩატარებას აქტუალურ საკითხებზე. პარლამენტმა მომცა ჩემი შეხედულებებისა და სტატუსის გაფართოების შანსი. მე შევძელი დებატების კლუბის შექმნა, სკოლის გაზეთში მონაწილეობის მიღება. ეს საქმიანობა მომავლის უკეთეს პერსპექტივას მიქმნის. პარლამენტმა მიბიძგა, უკეთ გამოვხატო ჩემი უნარები, მათ შორის ლიდერობის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის. მე გავიაზრე, რომ პროფესიულ გარემოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთმანეთის იდეების გათვალისწინება და დაფასება. საერთო ჯამში, მოსწავლეთა პარლამენტმა ლიდერობის გრძნობა გამიჩინა და მიმახვედრა, რომ ყველაფერს, ყველა საქმეს პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდო ახლაც და მომავალშიც.

**ერთი დღით რომ გახდე „ევროპული სკოლის“ დირექტორი, რა სიახლეს დანერგავდი?**

ერთი დღით რომ ვყოფილიყავი ევროპული სკოლის დირექტორი, სავარაუდოდ, დავაწესებდი Civvies Days. Civvies – ის დღეები იქნებოდა თვეში ერთხელ, როდესაც მოსწავლეებს საშუალება ექნებოდათ, ჩაეცვათ სკოლის ფორმისგან განსხვავებული ტანსაცმელი საკუთარი ინდივიდუალურობის წარმოსაჩენად. მე ასევე დავაწესებდი სპეციალურ ღონისძიებებს ან კონკრეტულ თარიღებს, როდესაც ყველა პროგრამის მოსწავლეების ინტერაქცია იქნებოდა შესაძლებელი. ეს მათ დაეხმარებოდა ერთმანეთის უკეთ გაგნობაში, უფრო კომფორტულად იგრძნობდნენ თავს, გაიგებდნენ მეტს სხვა სექტორების სასწავლო გეგმისა და სწავლების მეთოდების შესახებ.

**თორნიკე ყუბანეიშვილი - სპორტის კომისიის წევრი****გაიხსენი მომენტი, როცა რამდენიმე საქმე/პასუხისმგებლობა იტვირთე წარმატებით.**

დაახლოებით მეცხრე კლასში მომიწია მონაწილეობის მიღება სკოლის ოთხ სხვადასხვა კონფერენციაში. თავიდან ძალიან დამძლეული იყო დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება, გაფილტვრა, გადახარისხება ოთხი განსხვავებული ნაშრომისთვის. ამავდროულად კლასის ორგანიზატორიც ვიყავი და რა თქმა უნდა, სკოლის გარეთ მეგობრების ნახვაც

ჩემთვის პრიორიტეტი იყო. ალბათ, როგორც ყველა მოსწავლე, მეც ცოტა ვზარმაცობდი, მაგრამ გადატვირთულმა განრიგმა მაიძულა ეს თვისებაც დამემძლია და უკეთ დამეგეგმა ჩემი დრო. ახლა, როდესაც ამ პერიოდს ვიხსენებ, ვხვდები, რომ ნაშრომების წერაში ღამეების გათენება ნამდვილად ღირდა.

**რას გვეტყობი, როგორც უკვე „ევროპული სკოლის“ კურსდამთავრებული?**

ევროპულ სკოლაში გატარებულ წლებში ვისწავლე, რომ მნიშვნელოვანია, ყოველდღიურად შენს თავზე იმუშავო, რათა წარმატებას მიაღწიო. თავიდან, ალბათ როგორც უმეტესობა, მეც ვერ ვხვდებოდი, რა საჭირო იყო რუტინული დავალებებისა და პროექტების კეთება, მაგრამ ახლა უკვე ვაცნობიერებ, რომ მათი დახმარებით ჩვენდაუნებურად ვითარდება ის უნარ-ჩვევები, რომელსაც აქტიურად გამოვიყენებთ მომავალში. რჩევა, რომელიც შემიძლია მომავალ „ევროპული სკოლის“ მოსწავლეებსა და კურსდამთავრებულებს მიცვე არის შემდეგი: მიჰყვინ თავიანთ მისწრაფებებს, არ შეუშინდნენ მიზნისთვის ბრძოლას და რაც მთავარია, ყველა დაბრკოლების მიუხედავად, იყვნენ ოპტიმისტები, რაც მათ პრობლემებთან გამკლავებაში დაეხმარება.

**სად ხედავ შენს თავს ათ წელიწადში?**

ჩემი თავი 10 წელიწადში ჯერ კიდევ ნათლად და გამოკვეთილად ვერ წარმომიდგენია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეიძლება, სრულიად შევიცვლო პროფესია და მუშაობა გავაგრძელო იმ ქვეყანაში, რომლის მონახულებაც კი არასდროს მიფიქრია. რა თქმა უნდა, მომავლისთვის გეგმები მაქვს, მაგრამ ისინი ყოველ წამს შეიძლება შეიცვალოს. ჯერ-ჯერობით ჩემი

**აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშეს ოფიციალური ვიზიტი „ევროპულ სკოლაში“**

19 აპრილს ამერიკული უმაღლესი სკოლის მოწვევით „ევროპულ სკოლას“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე კრისტოფერ ანდერსონი ესტუმრა. საპატიო სტუმარი გაეცნო „ევროპული სკოლის“ აკადემიურ პროგრამებს, სკოლაში დანერგილ ინოვაციებს, დაათვალიერა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა, რაც ჩვენი მოსწავლეების აკადემიური წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია. კრისტოფერ ანდერსონმა შეაფასა ამერიკული უმაღლესი სკოლის მნიშვნელობა, რომელიც გზას უხსნის ქართველ და უცხოელ მოსწავლეებს ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემისკენ, გაეცნო მოსწავლეთა მიერ მიღებულ გამორჩეულ შედეგებსა და მიღწევებს, რისთვისაც ისინი აშშ-ს პრეზიდენტის ჯილდოებით დაჯილდოვდნენ. ვიმედოვნებთ, ეს ვიზიტი კიდევ უფრო გაამდიერებს ამერიკული განათლების როლს „ევროპულ სკოლაში“ და ხელს შეუწყობს ჩვენი მოსწავლეების წარმატებას.



# საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი პროგრამის მეხუთე კლასის მოსწავლეების შემაჯამებელი ონლაინ გამოფენა

25 მაისს „ევროპული სკოლის“ საერთაშორისო ბაკალავრიატის დაწყებითი პროგრამის მე-5 კლასის მოსწავლეებმა წლის შემაჯამებელი ონლაინ გამოფენა მოაწვეეს. გამოფენა არის წლის კულმინაციური, დასკვნითი ღონისძიება PYP-ის მოსწავლეებისთვის.

ეს არის ავთენტური გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს სწავლობენ და თავიანთ მიგნებებს თანატოლებს უზიარებენ. გამოფენა არის მოსწავლეების მიერ ინიცირებული და ორგანიზებული. ეს არის პრობლემების შესწავლის შემდეგ მოსწავლეთა მიერ განხორციელებული ქმედებების დემონსტრირება და სწავლის ზეიმი.

წლის შემაჯამებელი გამოფენა ონლაინ რეჟიმში გაიმართა. საკვლევი თემა იყო „ როგორ გამოვხატავთ საკუთარ თავს“. მოსწავლეები 9 ჯგუფად დაიყვნენ და შეისწავლეს საკითხები: ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეროვნული სამზარეულო, საშემსრულებლო ხელოვნება, მოდა, აქტიური ცხოვრება, სივრცე, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და პროგრამირება.

თითოეული ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი ვებგვერდი და პრეზენტაციების სახით გაუზიარეს სტუმრებს, თუ რა ისწავლეს, რა გააკეთეს და რას გრძნობდნენ ამ პროექტების განხორციელებისას.



## სიკეთის აქტი

მე-3 კლასის მოსწავლეები იკვლევდნენ და სწავლობდნენ თემებს გლობალური გამოწვევების შესახებ, რომლებსაც მსოფლიოს მასშტაბით ვხვდებით. ამავე დროს, მოზარდები ცდილობდნენ, მოემბნათ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის გზები. შედეგად PYP-ის მოსწავლეებმა მოიფიქრეს პროექტი „სიკეთის აქტი“. მათი მიზანი იყო, დახმარებოდნენ მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრებ ადამიანებს.

მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, შეეგროვებინათ ყველაზე საჭირო ნივთები: პირბადე, ხელის დასაბანი საშუალებები, სველი ხელსახოცები, ტკბილეული და შეგროვებული ნივთები გადაეცათ ორგანიზაცია „კათარზისისთვის“.



მე-3 კლასის მოსწავლეებმა თავიანთი პროექტის შესახებ ინფორმაცია PYP-ის საზოგადოებას გაუზიარეს და მოუწოდეს სხვებს, ჩართულიყვნენ ამ კეთილ საქმეში. PYP-ის საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა ამ პროექტს. მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების შემოწირულობით მე-3 კლასის მოსწავლეებმა შეძლეს პროექტის განხორციელება. მათ შეაგროვეს პირბადეები, ხელის დასაბანი საშუალებები, სადუზინფექციო ხსნარები, მოიტანეს სახლში გამომცხვარი ფუნთუშები და ტკბილეული. ქართული ენის პედაგოგების დახმარებით, მოსწავლეებმა თავშესაფარში მცხოვრებ ბებია-ბაბუებს წერილებიც კი დაუწერეს.

„ევროპული სკოლა“ მადლობას უხდის სკოლის საზოგადოებას, PYP- ის თითოეულ მოსწავლეს და მათ ოჯახებს სიკეთისა და მზრუნველობისთვის.

## მეხუთე კლასის მოსწავლეების გამოსაშვები ღონისძიება

11 ივნისს „ევროპულ სკოლაში“ PYP- ის მეხუთე კლასელების გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. სიტყვით გამოვიდნენ საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამების ხელმძღვანელი ბ-ნი ბრაის ბომო, ქ-ნი მარინა ჭელიძე- PYP ხელმძღვანელი, ქ-ნი ელიზაბეტ სტიენბერგი - 5A კლასის დამრიგებელი, ქალბატონი ჰიზა იუსიფი - 5B კლასის დამრიგებელი, ქ-ნი მარიამ ხაბეიშვილი. მათ PYP მოსწავლეებს მიულოცეს დაწყებითი პროგრამის დასრულება და საუკეთესო სურვილები უსურვეს. ყველა PYP-ის მოსწავლეს გადაეცა სერტიფიკატი.

ჩვენ ვულოცავთ PYP- ის მოსწავლეებს დაწყებითი საფეხურის წარმატებით დასრულებას! ეს ნამდვილად ემოციური მომენტი იყო PYP საზოგადოების ცხოვრებაში. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს არაჩვეულებრივ მოსწავლეებს!



## გადავარჩინოთ ლატალის ტყე!

ტყის ხანძრები საქართველოში საკმაოდ მოდებული და გავრცელებული პრობლემაა. ბოლო წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ხანძარმა ყველაზე მეტი ფართობი დააზარალა. 2020 წელს ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე მძვინვარებდა ხანძარი. ახალგაზრდული კლუბი „თეთნულდის“ ყურადღების არეალში მოხვდა ლატალის თემში ხანძრით დაზარალებული ტყის ტერიტორია. კლუბმა მიზნად დაისახა ლატალის ტყის საფარის აღდგენა და ამ მიზნის მისაღწევად შეიმუშავა პროექტი, რომლის ფარგლებშიც, ცნობიერების ამაღლების კუთხით თუ ნერგების შესაძენად საჭირო თანხების მოსამიღებლად, მრავალი აქცია თუ კამპანია გამართა. პროექტის მენტორ ეკატერინე წულუკიძესთან და პროექტის მხარდამჭერ „ფარის ინოვაციურ ცენტრთან“ უკვე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს „ევროპული სკოლის“ MYP პროგრამის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ია ლაღუას და მის მოსწავლეებს, რომელთაც პირველ სემესტრში დისტანციური სწავლებისას მიღებული გამოცდილება და საკუთარი ტექნოლოგიური პროექტები გაუზიარეს ონლაინ შეხვედრაზე ინოვაციური ცენტრის მოსწავლეებს. როდესაც MYP მე-7 ბ კლასის მოსწავლეებმა ია მასწავლებლისგან ლატალის ტყის აღდგენის პროექტის შესახებ შეიტყვეს, გადაწყვიტეს, შეაგროვონ მაკულატურა, რომლის ჩაბარებით აღებული თანხით შეიძენენ ხის ნერგებს. მოზარდებმა საინფორმაციო პოსტერები მოამზადეს და არ დაიშურეს ძალისხმევა, მაქსიმალურად ბევრ კლასში გაეგრძელებინათ ინფორმაცია თავიანთი ინიციატივის შესახებ. სკოლის ხელმძღვანელობამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა აღნიშნულ წამოწყებას და მასწავლებლებსაც მოუწოდა ჩართულობისკენ. „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა პარლამენტმა სპეციალური შეხვედრა დაუთმო ამ პროექტის განხილვას და ინფორმაციის გავრცელების გეგმა შეიმუშავა. რამდენიმე კვირის წინ ლატალის ტყის აღდგენის პროექტის მხარდასაჭერად ია ლაღუამ სვანეთში, „ევროპული სკოლის“ სახელით, საჩუქრად მაკულატურის შესაგროვებელი მწვანე ყუთი ჩაიტანა. ეს მხოლოდ დასაწყისია, იმედი გვაქვს, პროექტი დიდ მასშტაბს შეიძენს და ჩვენი სკოლის საზოგადოება შეძლებს, ხანძრით დაზარალებული ტყის აღსადგენად ხის ნერგების მნიშველოვანი რაოდენობის შეძენას.

პროექტის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ლატალის ხანძრით დაზარალებული ტყის საფარის აღდგენა.

**#მაკულატურა**

**დარეგისტრირდი**  
 მოიპოვე სვანეთის "მწვანე აქტივისტის" ტიტული

ახალგაზრდული კლუბი თეთნულდი

## მუზეუმების საერთაშორისო დღე

მუზეუმების საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს კოორდინირებით. პანდემიის დროს მუზეუმებმა დაკარგეს სტუმრები, სტუმრებმა - მუზეუმების დათვალიერების ბედნიერება. სწორედ ამიტომ ჩვენ, MYP მე-10 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მოსწავლეებმა, გადავწყვიტეთ, ლიტერატურის მუზეუმი წარგვედგინა ციფრულ სამყაროში, რათა ხალხს კვლავ გასჩენოდა მისი მონახულების შესაძლებლობა პანდემიის მიუხედავად. წარსულში, ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდით ამ მუზეუმთან, სადაც მოგვაწოდეს ყველა საჭირო რესურსი, რათა საფუძვლიანად გავცნობოდით ლიტერატურაში სხვადასხვა ეპოქას. პანდემიის დროს ეს შესაძლებლობა გაქრა და ჩვენი მთავარი ამოცანა გახდა, მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისთვის აღგვედგინა ამ რესურსზე წვდომა.

ჩვენ შევისწავლეთ ვირტუალური ტურების მუშაობის პრინციპი, რა შესაძლებლობებს იძლევა ესა თუ ის აპლიკაცია, პროგრამა ეფექტური ვირტუალური ტურის შესაქმნელად. მნიშვნელოვანი იყო ასევე კამერის მოძიება, რომელიც 360°-ანი ვირტუალური ტურის ჩაწერის შესაძლებლობას მოგვცემდა ისეთი ხარისხით, რომ ციფრული მუზეუმის მომხმარებლებს გაუჩნდებოდათ განცდა, თითქოს მუზეუმში დადიან და იქ არსებულ ექსპონატებს ათვალიერებენ.

დაგეგმვას მოჰყვა უშუალოდ გადაღების პროცესი. ჩვენი მიზანი იყო ეფექტური ტურის შექმნა, მიმზიდველი და სასარგებლო არტეფაქტების მოძიება და დემონსტრირება. გადაღების დასრულების შემდეგ დადგა მონტაჟის საჭიროება, ვიდეოების რედაქტირება სპეციალურ პროგრამაში, რომელიც შეესაბამებოდა მათ ფორმატს. დასასრულს მივიღეთ მართლაც ეფექტური საბოლოო პროდუქტი. ჯამში შეიქმნა მუზეუმის ორი ტური და აიტვირთა ინტერნეტში. ეს ვიდეოები განთავსდა ლიტერატურის მუზეუმის სოციალური ქსელების გვერდებზე. მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, კვლავ უსაფრთხოდ დაეთვალიერებინათ მათთვის საყვარელი მუზეუმი.

ვირტუალური ტურების შექმნის პროცესი რთული იყო, თუმცა ყველამ მოვახერხეთ არა მხოლოდ ჩვენი პროდუქტის დასრულება, არამედ - ინდივიდუალური უნარების განვითარება. ამ პროექტმა



გავვიუმჯობესა კრიტიკული თუ კრეატიული აზროვნების, კვლევის, ორგანიზაციული, კომუნიკაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარები. ეს უკანასკნელი თითოეული ჩვენგანისთვის იყო საჭირო ეფექტური საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად, რომელშიც კარგად ჩანს ჯგუფის თითოეული წევრის მიერ დახარჯული დიდი ძალისხმევა.

პროექტი სასარგებლო აღმოჩნდა არა მხოლოდ ლიტერატურის მუზეუმისთვის საზოგადოების მხრიდან ინტერესის მოსაპოვებლად, არამედ - პროექტში მომუშავე თითოეული მოსწავლისთვისაც, ვინაიდან ჩვენ შევიძინეთ მეტი ცოდნა, გამოცდილება და გამოვიმუშავეთ საჭირო უნარები.

## როგორ ავამაღლოთ ხალხის მოტივაცია ბავშვთა სახლების დასახმარებლად?

მე-10 კლასში, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე დავიწყე პერსონალური პროექტის გაკეთება. ეს აღმოჩნდა ყველაზე რთული პროექტი, რომელიც კი ოდესმე გამიკეთებია. იდეის მოფიქრება ნამდვილად არ იყო ადვილი. ბოლოს ავირჩიე თემა, რომელიც ახლოს იყო ჩემს ინტერესებთან - გადავწყვიტე, რაღაც ფორმით დავხმარებოდი ბავშვთა სახლებს, თუმცა, ეს დახმარება არ უნდა ყოფილიყო შაბლონური და ჩემი შესაძლებლობების საზღვრებშიც უნდა ჩამჯდარიყო.

ჰოდა, ასე შევქმენი პროფესიული ვებგვერდი, რომლითაც შევძელი ბავშვთა სახლების დახმარება, ჩემი პროექტის შესახებ ტელევიზიითაც ვისაუბრე, სოციალურ ქსელშიც გავრცელდა ინფორმაცია. ამ პროცესებმა არა მარტო ბავშვთა სახლებზე, არამედ უპირველესად ჩემზე მოახდინა ზეგავლენა და ღირებულებათა გადაფასებაც მომიწია. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩემი ცხოვრების წესი, სწავლასთან ერთად, ბავშვებზე და ბავშვთა სახლებზე ზრუნვა გახდა; ეს კი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

ბავშვობიდან მე და ჩემი ოჯახი ხშირად ვსტუმრობდით ბავშვთა სახლებს და მზრუნველობამოკლებულ პატარებს ვეხმარებოდით. 2019 წელს, როდესაც „ევროპულ სკოლაში“ გადმოვედი, მონაწილეობა მივიღე ღონისძიებაში, სადაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ვეხმარებოდით ოჯახებს ტანსაცმლით, სათამაშოებითა თუ წიგნებით. როგორი ბედნიერი და აღფრთოვანებული ტოვებდნენ ოთახს ბავშვები... ამ ემოციამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ჩემზე და მომცა სტიმული, რომ პროექტის სახით უფრო კონკრეტული რამ გამეკეთებინა, ისეთი, რაც ადამიანებს სიკეთის კეთებისკენ უბიძგებდა.

პროექტი დავიწყე ვებგვერდის შექმნით. ამისათვის საჭირო იყო, შემესწავლა პროგრამული ენები და კოდირება. ეს იყო პირველი და ყველაზე რთული ნაბიჯი. მანამდე არასდროს მქონია პროგრამულ ენებთან შეხება, ამიტომ ვებგვერდის დასრულება რთული აღმოჩნდა. პარარლელურად ვაგროვებდი ინფორმაციას ბავშვთა სახლების შესახებ საქართველოში და იმ ხერხებსა და საშუალებებზე ვფიქრობდი, როგორ დავხმარებოდი მათ. აღმოჩნდა, რომ დახმარების საუკეთესო გზა შემოწირულობა და ბავშვებთან ურთიერთობა იყო.

ვებგვერდის შექმნის შემდეგ განუწყვეტლივ ვაკვირდებოდი ვებგვერდის სტატისტიკას და იმ ქვეყნებს, რომლებშიც ის ინფორმაცია გავრცელდა. პირველი ორი დღე იმედაცრუებული დავრჩი, რადგან რუკაზე მხოლოდ საქართველოს ვხედავდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ უცხოეთში ჩემი პროექტის შესახებ არავინ იცოდა. ერთი კვირის განუწყვეტლივი შრომის შემდეგ რუკაზე გამოჩნდა სხვა ქვეყნებიც და ასობით ადამიანი, რომელიც დაინტერესდა ამ პროექტით. ეს იყო სტიმული, რამაც მიბიძგა, გამეგრძელებინა მუშაობა და ბავშვთა სახლების დახმარება. რამდენიმე თვის შემდეგ პროექტმა მიიპყრო აუდიტორიის ყურადღება. უკვე ვხედავდი, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა ჩემმა ინიციატივამ ვებგვერდის ვიზიტორებზე. შემოწირული თანხის რაოდენობა ყოველდღე იზრდებოდა. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი თვე პროექტზე მუშაობის პროცესში. ჩემი პროექტის ეფექტიანობის შესახებ გაიგეს ჟურნალისტებმა, დამიკავშირდნენ და რამდენიმე ინტერვიუ მთხოვეს. სულ სამი ინტერვიუ ჩავწერე, ერთ-ერთი გამოქვეყნდა საქართველოს საინფორმაციო ვებგვერდზე და დანარჩენი ორი გავიდა ტელევიზიით.


მას შემდეგ, რაც მიხვდი, თუ რამდენი ადამიანი დაინტერესდა ჩემი წამოწყებით, სურვილი გამიჩნდა, უფრო მეტი მეშეშავა და გამეუმჯობესებინა პროექტი. შევძელი, დავხმარებოდი ასობით ბავშვს და მაგალითი მივეცი თანატოლებს.

მადლობას ვუხდის „ევროპულ სკოლას“ ამ შესაძლებლობისა და დახმარებისთვის. ჩემი პროექტის ასეთი წარმატება სკოლის დიდი მხარდაჭერის შედეგია.



### ვებ-გვერდი IB პროგრამის მოსწავლეებისთვის

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებმა განსაკუთრებული უნარები გამოავლინეს ვებგვერდის შექმნისას, რომელიც მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი. [www.ibtips.net](http://www.ibtips.net) ვებგვერდზე განთავსებულია საგნობრივი სპეციფიკის მქონე ინფორმაცია. მისი შექმნისას გამოიკითხნენ სადიპლომო პროგრამის მოსწავლეები. რჩევები მოსწავლეებისგან მოსწავლეებს - ეს არის დევიზი პროექტისა, რომელიც CAS-ის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა. პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებმა განივითარეს უნარები, როგორცაა გუნდური მუშაობა, დროის მართვა, ეთიკური მოქმედება, ინიციატივის დემონსტრირება. პროექტის ავტორები არიან: გიორგი მასაშვილი, ანასტასია ბესსონოვა, საჰბა აზიზი, რაჰა რიხტეგარანი, ჰუია მოდარეს და ჰოუ ჯინგრუ. მათი მიზანია პროექტის მართვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მისი პოპულარიზაცია სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებს შორის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.





## აპლიკაცია TBS Home

სადიპლომო პროგრამის მოსწავლე ირაკლი აქიშბაიამ, მისი CAS პორტფოლიოს პროექტის სახით, შექმნა მობილური აპლიკაცია TBS Home. ეს აპლიკაცია განკუთვნილია უძრავი ქონების სექტორისთვის და ამ სფეროში ჩაბმულ ადამიანებს აწვდის ინფორმაციას თბილისის უბნებში ფასების, ჰაერის დაბინძურებისა და ტრანსპორტის შესახებ. ამ აპლიკაციის გამორჩეული და კონკურენტუნარიანი მახასიათებელია ჰაერის დაბინძურებისა და ტრანსპორტის მონაცემების ხელმისაწვდომობა. ამ აპლიკაციის შექმნისას ირაკლიმ შეიძინა და გაიუმჯობესა ანალიტიკური და კვლევის უნარები. იგი აპირებს პროექტის ხანგრძლივი ვადით გაგრძელებას, რათა მოიცვას საქართველოს სხვა ქალაქები და პოპულარობა შეჰმატოს თავის აპლიკაციას.

The screenshot shows the TBS Home mobile application interface. At the top, the time is 9:11 and there are icons for signal strength, Wi-Fi, and battery. Below the time, there are four tabs: Price, Air, Traffic, and A-Z. The main content is a list of real estate listings, each with a small image, a title, an address, and a row of data including Air Pollution (with a color-coded bar), Traffic (with a traffic light icon), and Price (with a dollar sign). The listings are as follows:

- saburtalo**  
kazgebi avenue  
Air Pollution: 29.0 (green bar) · Traffic: High (red traffic light) · Price: \$ \$3500-\$3700
- archi**  
archi digomi 1  
digomi  
petre iberis street 16  
Air Pollution: 34.0 (orange bar) · Traffic: Moderate (yellow traffic light) · Price: \$ \$1800...
- archi**  
archi digomi 2  
digomi  
farnavaz king avenue  
Air Pollution: 39.0 (red bar) · Traffic: Moderate (yellow traffic light) · Price: \$ \$1900...
- archi**  
archi gldani  
gldani  
qerchis street  
Air Pollution: 38.0 (red bar) · Traffic: High (red traffic light) · Price: \$ \$1600-\$2100
- archi**  
archi mtawminda  
mtawminda  
nikoloz yifshidze street 15  
Air Pollution: 30.0 (green bar) · Traffic: Moderate (yellow traffic light) · Price: \$ \$2500...
- X2 development**  
X2 development Saburtalo  
Saburtalo  
shartava street 29  
Air Pollution: 29.0 (green bar) · Traffic: Moderate (yellow traffic light) · Price: \$ \$2400...
- sky development**  
sky development vake

### კლასიკის საერთაშორისო კონკურსი

„ამერიკული უმაღლესი სკოლის“ მოსწავლეებმა თებერვალში მონაწილეობა მიიღეს დიდი ბრიტანეთის კლასიკოსთა ასოციაციის The Lytham St Annes CA-ის მიერ გამართულ კლასიკის საერთაშორისო კონკურსში. კონკურსის მონაწილეები შეირჩნენ ევროპის სკოლებიდან, სადაც კლასიკური ცივილიზაციები კურიკულუმის ნაწილია. მოსწავლეებს დაევალებათ პრეზენტაციის მომზადება ძველი მსოფლიოს შესახებ დასმულ შეკითხვაზე: „ძველ დროში ერთი დღით მოგზაურობის საშუალება რომ გქონდეთ, სად გაემგზავრებოდით და რატომ?“ „ევროპული სკოლის“ ამერიკული უმაღლესი სკოლის კონკურსანტმა მარიამ ჯახუამ ელევსინში მოგზაურობა და ელევსინურ მისტერიებში მონაწილეობა გადაწყვიტა: „ ეს ფენომენი მსოფლიოში ცნობილია, ცნობილი და ამავდროულად ამოუცნობი. არავინ იცის დანამდვილებით, რა მოხდა ელევსინში და ეს საკითხი ხშირ შემთხვევაში დისკუსიის საგანიც არის. ამიტომაც მინდოდა ელევსინში დაბრუნება ძველ დროში, მისი საიდუმლოებების ამოხსნა, მცდარი წარმოდგენების გაქარწყლება და მისტიკით მოცული საკითხის ნათელყოფა საზოგადოებისთვის.“



მოხარული ვარ, ასეთ საინტერესო კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა რომ მომეცა. შედეგის მიუხედავად, ეს იყო გამოცდილება, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა. მადლობას ვუხდის ყველას, ვინც დამეხმარა, მასწავლებლებს, რომელთაც სჯეროდათ ჩემი და ასეთი შესაძლებლობა შემომთავაზეს.“

### საერთაშორისო საჯარო მეტყველების კონკურსი

საერთაშორისო საჯარო მეტყველების კონკურსი მონაწილეობის მისაღებად ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან იწვევს საუკეთესო ახალგაზრდა მომხსენებლებს ლონდონში. კონკურსი 1980 წელს დაარსდა და აერთიანებს მილიონზე მეტ ახალგაზრდას 50-ზე მეტი ქვეყნიდან. დელეგატებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან საშუალება აქვთ, ურთიერთობა დაამყარონ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებთან. წელს კონკურსანტებმა წარმოადგინეს თემები სათაურით: „სამყარო უფრო დიდი და პატარაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა“ და „გავაერთიანოთ ხმები! ეს საუკეთესო გზაა ცვლილებებისთვის“.



ფინალისტები საქართველოდან იყვნენ ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები: ნიტა ბაქრაძე, თემო ყავილაშვილი და სოფო დარჩიაშვილი. ფინალისტებს სერთიფიკატები და საჩუქრები გადასცეს საქართველოში ამერიკის ელჩმა ქალბატონმა კელი დეგნანმა და ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ბატონმა მარკ კლეიტონმა.

### საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „კლასიკური ენების სწავლება XXI საუკუნეში - Vitae Discimus“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიანიტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის თაოსნობით 2021 წლის 24-27 თებერვალს ჩატარდა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „კლასიკური ენების სწავლება XXI საუკუნეში - Vitae Discimus“, სადაც მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა მომხსენებელმა მსოფლიოს 10 ქვეყნიდან და 4 კონტინენტიდან. კონფერენციის მიზანი იყო საქართველოში ბერძნული და რომაული ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინტერნაციონალიზაცია. ბერძნული და რომაული ფილოლოგიის ქართული სკოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება, ასევე კლასიკური ენების სწავლების საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და გაზიარება. კონფერენციის თემატიკა იყო მრავალფეროვანი: კლასიკური ენების სწავლებასთან დაკავშირებული ისეთ აქტუალურ საკითხები, როგორცაა კლასიკური ენების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უნივერსიტეტებში, კლასიკური ენების სახელმძღვანელოები, შეფასების, სწავლებისა და სწავლის მეთოდები.

კონფერენციაზე მოხსენება წარმოადგინა ქეთევან გარდაფხაძემ. მოხსენების ფარგლებში განხილულ იქნა „ევროპული სკოლის“ ამერიკულ უმაღლეს სკოლაში ლათინური ენის სწავლების დანერგვის ისტორია და მოსწავლეთა შედეგების ანალიზი; გაშუქდა ის პრობლემები, რომლებსაც წავაწყდით სწავლების პროცესში. იმისთვის, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო აუდიტორიისთვის მოსწავლეთა დამოკიდებულება ლათინური ენისადმი, რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ენის შესწავლას, რა სირთულეებს აწყდებიან მეცადინეობის პროცესში, რატომ აირჩიეს ლათინური ენა, მოსწავლეებმა ჩაწერეს ვიდეო და კონფერენციაზე თვითონ გაუზიარეს საკუთარი შთაბეჭდილებები სპეციალისტებს.

## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საგანმანათლებლო ჯილდოს პროგრამა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საგანმანათლებლო ჯილდოს პროგრამა, დაფინანსებულია აშშ-ს განათლების დეპარტამენტის მიერ, დაწყებითი სკოლის დირექტორთა ეროვნულ ასოციაციასთან და NASSP- თან პარტნიორობით.

პროგრამის მიზანია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების წახალისება. მოსწავლეებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯილდო და სერთიფიკატი გადაეცემათ საგანმანათლებლო წარჩინებისთვის (ოქროს ჯილდო) და საგანმანათლებლო მიღწევებისთვის (ვერცხლის ჯილდო).

სერთიფიკატები 2021 წელს გადაეცა ამერიკული უმაღლესი სკოლის მე-12 კლასის ორ მოსწავლეს:

- მარიამ არველაძეს (პრეზიდენტის ჯილდო საგანმანათლებლო წარჩინებისთვის)
- პაატა კალოიანს (პრეზიდენტის ჯილდო საგანმანათლებლო მიღწევებისთვის)

ასევე წელს პირველად ამერიკის პრეზიდენტის ჯილდო საგანმანათლებლო წარჩინებისთვის გადაეცა მე-8 კლასის სამ მოსწავლეს:

- ანა დავითაშვილს
- ანა დანელიას
- ნიკოლოზ ხადურს

## ინტერვიუ კურსდამთავრებულ პაატა კალოიანთან

1. რომელ უნივერსიტეტებში ჩაირიცხეთ?  
Grinnell College (აშშ), Bard College (აშშ), University College Maastricht (ჰოლანდია).
2. რამდენ უნივერსიტეტში შეავსეთ განაცხადი?  
9 უნივერსიტეტში ( 7 უნივერსიტეტი ამერიკაში, 1 - ნიდერლანდებში, 1-საფრანგეთში).
3. რატომ აირჩიეთ კონკრეტულად ეს უნივერსიტეტი?  
ფაქტორები, რამაც მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება, იყო უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა, საერთაშორისო სტუდენტების კომენტარები, სტაჟირების შესაძლებლობები, ზოგადი რეიტინგი და უნივერსიტეტის რეპუტაცია.



რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს, იელის უნივერსიტეტის დიპლომი და X რეიტინგის უნივერსიტეტის დიპლომი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ისევე, როგორც საერთაშორისო საშუალო სკოლის დიპლომს უფრო მეტი წონა აქვს, ვიდრე საქართველოს საჯარო სკოლის ატესტატს.

4. რა არის თქვენი ძირითადი სპეციალობა?

პოლიტიკური მეცნიერებები

### 5. რა დაგეხმარათ სასურველ უნივერსიტეტში ჩარიცხვაში?

მხოლოდ ორი მოთხოვნა იყო, რომელიც ჩემი მხრიდან უნდა შესრულებულიყო. ეს იყო მაღალი აკადემიური მოსწრების (GPA) დემონსტრირება და სარეკომენდაციო წერილის გაგზავნა უნივერსიტეტში. ჩავაბარე SAT და TOEFL-ის გამოცდა.

ყველაზე ყურადსაღები ფაქტორი ჩემს განაცხადში იყო სტაჟირება ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიაში. ეს იყო დიდი გამოწვევა ჩემთვის, რადგან საშუალება მქონდა, მეთანამშრომლა ისეთ ადამიანებთან, რომელთაც აქვთ პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილება.

### 6. გაქვთ რაიმე რჩევა, რომელიც გასურთ გაუზიაროთ მომავალ თაობას?

ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა ჩემგან არის ის, რომ რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოთ სააპლიკაციო ფორმების შევსება და გაგზავნა, საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა მასწავლებლებთან და თადარიგის დაჭერა სარეკომენდაციო წერილის დასაწერად, უნდა

დაესწრონ უნივერსიტეტებთან შეხვედრებს, ასევე მნიშვნელოვანია, აქტიურად იყვნენ ჩართულნი კლასგარეშე აქტივობებში.

ზოგიერთი კოლეჯის სააპლიკაციო ფორმაში ნახავთ ასეთ შეკითხვას: “რომელმა საგანმა მოგცათ სტიმული ამ კონკრეტული პროგრამის არჩევისას?” მსგავსი შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, მე გირჩევთ ხაზი გაუსვათ ისეთ საგნებს, როგორიცაა: კლასიკური ცივილიზაცია, ლათინური, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. ეს არის კურსები, რომლებიც საუკეთესოდ აყალიბებს თქვენს ზოგად ცოდნას და გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საგნები იშვიათია სკოლის კურიკულუმში, საგრძნობლად ზრდის თქვენს კონკურენტუნარიანობას.

### 7. რა მოგცათ ამერიკულმა უმაღლესმა სკოლამ?

გარდა საინტერესო და მოაზროვნე თანატოლებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობისა, „ევროპულმა სკოლამ“ მომცა უნარ-ჩვევები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კარიერული ზრდისთვის. ბევრ სხვა სკოლას არ აქვს შესაძლებლობა, მათი მოსწავლეები ჩაირიცხოთ საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სკოლის საუნივერსიტეტო მრჩეველის რეკომენდაციები უნივერსიტეტების შერჩევისას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორმა საშუალება მომცა, ვყოფილიყავი კონკურენტუნარიანი კანდიდატი უნივერსიტეტებისთვის.

# აჩუქე წიგნი!

წიგნის ჩუქების ტრადიცია მსოფლიოს მასშტაბით პოპულარულია. წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეს აღამიანები ერთმანეთს წიგნებს ჩუქნიან. უკვე მესამე წელია, რაც საქართველოშიც იმართება კამპანია #აჩუქეწიგნი და „ევროპული სკოლის“ მოსწავლეები თანაკლასელებს, წიგნის კითხვის სიყვარულის ნიშნად, წიგნებს უსახსოვრებენ. იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2021 წლის 23 აპრილს თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადდა და მასპინძლობს ბევრ საინტერესო ლიტერატურულ ღონისძიებას, სადაც ჩვენი მოსწავლეებიც აქტიურად ჩაებმებიან.

წიგნის მოყვარულმა მოსწავლეებმა წიგნის დღეს ლიტერატურული გმირების ფორმები ჩაიცვეს, თანაკლასელებს წიგნები უსახსოვრეს, გიორგი კეკელიძის წიგნიერების გაკვეთილზე ბევრი რამ შეიტყვეს საბავშვო ლიტერატურის შესახებ და ბიბლიოთეკაში საინტერესო ფილმების ჩვენებას დაესწრნენ.

აპრილი წიგნის ჩუქების თვეა #აჩუქეწიგნი



# საზაფხულო სკოლა

„ევროპულ სკოლაში“ სწავლების ბოლო კვირა ყოველთვის განსხვავებულია და სახალისო, საინტერესო აქტივობებით დატვირთული. წელს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დაიგეგმა: შეხვედრა მწერლებთან, მხიარული სტარტები, კინოჩვენება და ა.შ.

შეხვედრა მწერლებთან - ბავშვებისთვის საყვარელი მწერალი, ვასო გულეური ეწვია სკოლას. მოსწავლეებმა თავად ავტორისგან მოისმინეს ნაცნობი ლექსები, მოთხრობები, სტუმარს შესწავლილ ნაწარმოებებზე ესაუბრნენ და საინტერესო შეკითხვებიც დაუსვეს.

კინოჩვენება - ყველა ჩვენგანში განსხვავებულ ემოციას იწვევს ნანახი ფილმი. გვიჩნდება სიხარულის, ბედნიერების, თანაგრძნობის განცდა... მოსწავლეებში ჯანსაღი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, მათ გასახალისებლად სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყო კინოჩვენება. წინასწარ შერჩეული მულტიპლიკაციური ფილმის ჩვენებისას პატარებმა გემრიელი ბატიბუტიც მიირთვეს. დასასრულს მოეწყო ფილმის განხილვა, სადაც ბავშვებმა ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

მხიარული სტარტები - მოსწავლეებში აკადემიური უნარების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია მათ ფიზიკურ აქტიურობაზე ზრუნვაც. სწორედ ამ მიზნით გაიმართა სპორტული შეჯიბრი „მხიარული სტარტები“, რომელშიც მონაწილეები ხალისით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს გამარჯვების მოსაპოვებლად.

16 ივნისს „ევროპულ სკოლის“ სააქტო დარბაზში მეოთხე კლასის დამამთავრებელი საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელიც მწერალმა, გიორგი კეკელიძემ გახსნა. დამრიგებლებმა მოსწავლეებს ოთხწლედის დასრულება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. მოსწავლეების დიდი სიხარული გამოიწვია სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულმა ვიდეორგოლმა, რომელზეც ბავშვების სკოლაში ყოფნის ოთხი წელი იყო აღბეჭდილი. შეხვედრის დასასრულს მეოთხეკლასელები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

#საზაფხულოსკოლა ეს ის პროექტია, რომელიც ძალიან უყვართ ბავშვებს. ისინი სწავლობენ, სწავლობენ თამაშით!



## შემაჯამებელი ასამბლეა

„ევროპული სკოლის“ ქართული პროგრამის სამუშაო საფეხურის მოსწავლეებმა ონლაინ ასამბლეა გამართეს. X-XII კლასის მოსწავლეთა ასამბლეა შინაარსობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ცხოვრების შესახებ საქართველოში: „ებრაელები საქართველოში“, „ქურთი იეზიდები“, „ბერძნები საქართველოში“, „აზერბაიჯანელები საქართველოში“ და „ოსები საქართველოში“; გააშუქეს ისტორიული მოვლენები: „1821 წლის აჯანყება საბერძნეთში“, „კვიპროსის აჯანყება“; გაგვიზიარეს საკუთარი ხედეა კომიქსების ჟანრის შესახებ; შეასრულეს „ქართული ცეკვების პოპური“ და მოაწყვეს ნახატების გამოფენა.

ქართული პროგრამის სამუშაო საფეხურის ასამბლეაზე მოსწავლეთა მიერ გამოვლენილმა შემოქმედებითმა მიდგომამ, საინტერესო კვლევებმა, წარმოდგენილი პროექტების შინაარსობრივმა მრავალფეროვნებამ დამსწრე საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.



## ასამბლეა • ASSEMBLY



## დედამიწის დღე

22 აპრილს ევროპულ საბავშვო ბაღში აღვნიშნეთ დედამიწის დღე. ჩვენ ვისაუბრეთ გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე და მეორადი მასალებისგან დავამზადეთ სხვადასხვა ნამუშევრები. მასწავლებლებმა სპეციალურად ამ დღისთვის მოამზადეს ძალიან საინტერესო პრეზენტაციები პატარებისთვის, აჩვენეს მათ ვიდეორგოლები გარემოზე ზრუნვის მნიშვნელობაზე. ბავშვებმა ბაღის ეზოში დათესეს ყვავილები და მოუარეს ჩვენი ეზოს მცენარეებს.



## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს ევროპულ ბაღში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ვიზეიმეთ. ბავშვებმა საკუთარი ხელით დაამზადეს საქართველოს დროშები, მოხატეს ბაღის ეზო, მოუსმინეს საქართველოს ჰიმნს და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



### ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

2021 წლის 1 ივნისს ევროპულმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა. საყვარელი გმირების ფორმებში გამოწყობილმა პატარებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში.



### ევროპული ბაღის გამოსაშვები ღონისძიება

8, 15 და 16 ივნისს ევროპული ბაღის ქართულ და ინგლისური სექტორის მოსამზადებელ ჯგუფებს ჰქონდათ ბაღის გამოსაშვები ღონისძიება. სპეციალურად მათთვის მორთულ სცენაზე პატარებმა შეასრულეს სახალისო ცეკვები და სიმღერები, წაიკითხეს ლექსები. მანტიებში გამოწყობილებმა სკოლის ეზოში გადაინაცვლეს და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

